№ 57

სამშაბათი, 16 მარტი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 57

სამშაბათი, 16 მარტი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი

**ნინო გრიგოლის ასული, ლუარსაბ გაბრიელის ძე და ვასილ ალექსანდრეს ძე სულხანიშვილები,** უკანასკნელი ძმითა და დებითურთ მწუხარებით აუწყებენ·რა გარდაცვალებას პირველი—მეუღლის, მეორე—ძმისას და დანარჩენნი მამისას

**ალექსანდრე გაბრიელის ძის სულხანიშვილისას,**

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ სამშაბათს, 16 მარტს, დილის 9 საათზედ, ცხედარის განსვენებაზედ დასასწრებლად რეუტის ქუჩაზედ, საკუთარი სახლი, № 10, საიდგანაც მიცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში.

(1—35—1)

## ქართული თეატრი

მეორე გასტროლი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა

ხუთშაბათს, 18 მარტს,

ქართული თეატრის არტისტებისაგან ვ. ს. **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

## ჰამლეტ

დანიის პრინცი

ტრაგედია 5 მოქმედ. თხზ. ვ. შექსპირისა. თარგ. თავ. ი. მაჩაბლისა,

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი ვ. ს. ალექსი მესხიშვილი.

1899

## „მოამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

მხოლოდ ჟურნალის ვრცელის პროგრამის საჯსებით შესასრულებლად მიმდინარე წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრედვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორიგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

უკვე დაიწყო ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | **10** მან. | **6** მან. | **4** მან. |
| საზღვარ გარედ | **13** მან. | **7** მან. | **5** მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: **1** იანვრამდე—**4** მან., **1** აპრილამდე—**3** მან. და **1** სექტემბრამდე—**3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* **„Моамбе“**.

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

(20—6.—7)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ზ. ა. ხაჭაპურიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ე. ი. ბაზანხაიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ა. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ)

ნოტარიუსის

## ლევან მღებროვის

## კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—6.—22)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: პოდპორუჩიკობა კურინის ქვეითა მე-79 რაზმის პოდპრაპორშჩიკს კაპუნაშვილს (რაჟდენ) და ბაბუნაშვილს (თევდორეს).

დანიშნულ იქმნენ ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი დობროვოლსკი და ტფილისის სამოსამართლო პალატის მდივანი ნიკოლაევი ოლქის სასამართლოს წევრებად: პირველი—ტფილისისა, მეორე—ქუთაისისა.

გადაყვანილ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელე იაკინთე კაპანაძე—იმავე თანამდებობაზედ ქუთაისის სახაზინო პალატაში.

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 14 მარტს, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა თავ. ილ. გრ. ჭავჭავაძე. საზოგადოების გამგეობის წევრმა თავ. ვ. ს. მიქელაძემ წაიკითხა სარევიზიო კომისიის მოხსენება. საზოგადოების ანგარიშის დამტკიცებამდე ლაპარაკი ატყდა იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა შეიტანოს ბანკმა სახელმწიფო გადასახადი. სახაზინო პალატა თხოულობს, რომ ბანკმა გადასახადი, მოგებაზე განჩენილი, შეიტანოს ახალის წესით, ე.ი. იმაზედ მეტი, რაც წინად შეჰქონდა. კრებამ დაადგინა იმდენივე შეიტანოს, რაც წინად შეჰქონდა, მხოლოდ თუ სახაზინო პალატამ მეტი მოითხოვა, იმ შემთხვევაში გადაიხადოს ეს მეტი ფული და ამასთან განასაჩივროს პალატის მოთხოვნილება. შემდეგ კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია იმან, თუ როგორ იქმნას განაწილებული შარშანდელის წლის მოგება. კრებამ დაადგინა ამ მოგებიდგან მიეცეთ შარშანდელ ჯამაგირის ანგარიშში გამგეობის წევრთ, თითოს სამოცი თუმანი და სამს წევრს სულ 1800 მანეთი. შემდეგ კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ამა მიმდინარე წლისათვის. დასასრულ კრებამ ერთხმად სთხოვა გამგეობის თავმჯდომარეს გ. ს. განძიელს, დეპუტატს თავ. ნ. ბ. ერისთავს და სარევიზიო კომისიის წევრებს, იგინივე დარჩენილიყვნენ თავიანთ თანამდებობის აღსასრულებლად.

*** მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ შესწირა 100 მანეთი საქართველოს საეკკლესიო სიძველეთ-საცავს.

*** მთავრობამ ნება დართო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოებას იქონიოს და აწარმოოს ის ფოტოგრაფია, რომელიც ამ საზოგადოებას განსვენებულმა ა. ს. როინაშვილმა შესწირა. მთავრობის წინაშე პასუხის მგებელი იქმნება ქალ. დუშეთის მცხოვრებელი ვ. ი. როინაშვილი.

*** ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“-ს, რომ მათმა იმპერატორებით უმაღლესობამ დიდმა მთავრებმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ და ალექსანდრე მიხეილის ძემ შესწირეს თავიანთ „სინოპის“ მამულიდგან 400 მანეთის მცენარეები ქუთაისის უფასო სკოლასთან ბაღის გასაშენებლადაო.

*** გუშინ, 15 მარტს, ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი ხმოსნებისა არ გამოცხადდა.

*** საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს აზრადა აქვს ამ ზაფხულსაც გამართოს საპედაგოგიო კურსები სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებელ ქალთა და კაცთათვის. ამ კურსების პროგრამის შესამუშავებლად და სხვა საგნების განსახილველად არჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია. თავმჯდომარედ ამ კომისიისა არის საეპარქიო სასწავლებელთა ზედამხედველი ნ. ტატიშვილი, ხოლო წევრებად სასულიერო სემინარიის მასწავლებელნი ბ-ნნი ფერაძე და მურახოვსკი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულების თანახმად, უბრძანა პოლიციას ნება არ მისცენ გიმნაზიის მოსწავლეებს, რომ თეატრებში წარმოდგენების დროს გალერეიაში ავიდნენ ხოლმე და იქიდგან უყურონ წარმოდგენებს. ამასთან პოლიცმეისტერმა ოლქის მზრუნველსაც სთხოვა, განკარგულება მოახდინეთ, რომ აღმზრდელები თვით დადიოდნენ გალერეიაში, რადგანაც გიმნაზიელები ხშირად ტანისამოსს იცვლიან, ისე შედიან თეატრში და პოლიციას არ შეუძლიან მათი ცნობაო.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად კავკასიის მთავარმართებელმა უბრძანა ქალაქ ტფილისის თვით-მმართველობას შეუდგეს ქუჩების და მოედნების მოკირწყვლა-დასუფთავების საქმეს და საზოგადოდ ყველა იმ ნაკლულევანების შესწორებას, რაც იმის ბრწყინვალების მიერ დანიშნულმა კომისიამ ქალაქის დათვალიერების დროს აღმოაჩინა. ეხლა გაზეთი „კავკასი“ იუწყება, რომ რადგანაც ქალაქის საბჭომ პირველ თებერვლის კრებაზედ სისრულეში არ მოიყვანა ეს ბრძანება და იმის ნაცვლად სხვა საქმეები განიხილა, ტფილისის გუბერნიის გამგემ კ. კ. სტეფანოვიჩმა დაავალა ქალაქის მოურავს დაუყოვნებლივ შეუდგეს საბჭო ქალაქის მოწყობა-დასუფთავების საქმეს და მთავარ-მართებლის ბრძანების სისრულეში მოყვანასაო.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა უკვე გააუქმა თანამდებობანი ამ კომიტეტის საქმის მწარმოებლის, ექსპერტის ორის თანაშემწისა და 12 ინსტრუქტორისა.

*** ამას წინად ვსწერდით, რომ ოზურგეთში აზრადა აქვთ დააარსონ ადგილობრივ ქალთა სასწავლებლის მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. ეხლა, როგორც იუწყებიან, წესდება ამ საზოგადოებისა უკვე შეუმუშავებიათ და ამ ახლო მომავალში მთავრობასაც წარუდგენენ დასამტკიცებლადო.

*** გაზ. „კავ.“-ის სიტყვით, მთავრობამ ნება დართო დაბა სოჭში მცხოვრებს ინჟინერს ვ. კ. კონსტანტინოვს დააარსოს ამ დაბაში უფასო სამკითხველო.

*** „ახ. მიმ.“-ა იუწყება, რომ აზრადა აქვთ ბაქოში ხუთი ქაღალდის მოსამზადებელი ქარხანა დააარსონ.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ თ. კ. ი. მუხრან-ბატონს თავისი მამული „მუხრანი“ საუფლისწულო უწყებისათვის მიუყიდნია 450 ათას მანეთადაო.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს სწერენ, ქალ. ბათუმის თვით-მმართველობაც ემზადება იდღესასწაულოს 26 მაისს ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულება. ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას უკვე შეუმუშავებია პროგრამმა ამ დღესასწაულებისა. ამას გარდა კომისია ურჩევს საბჭოს ამ დღის სახსოვრად დააარსოს ბათუმში „სახალხო სახლი“ წიგნთ-საცავით, სამკითხველოთი და დარბაზით სახალხო კითხვებისათვის. კომისიის გამოანგარიშებით ამ საქმეს დასჭირდება 15,000 მანეთი, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობამ უნდა გადასდოს.

*** რედაქციამ მიიღო მე-II ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“. შინაარსი ამ ნომრისა: გუგული ლექსი—ილ. ფ—მისა; თბილისის პატარა მეწვრიმალე მიხაკა—ნიკო ხუციშვილისა; ნელლო და პატრაში (მოთ. უიდისა) თარ.—ელ. წერეთლისა; ნანინა ლექსი—დუტუ-მეგრელისა; საკვირველი უმაწვილი—გ. წყალტუბლისა; ძველი საბერძნეთი (შემდეგი)—კოტესი; ახალი თეზეოსი (შემდეგი)—ეკ. მ—სა; საკვირველებანი ბუნებისა № 22 ბრიყობა მცენარეთა—ლადო აღნიაშვილისა; გნახოთ, ვინ ვის აჯობებს (რუსულიდან)—თან—ენ კან—ინისა; მგილავი (იგავი)—ალ. მ—შვილისა; აზრიანი კაცი (რუსულიდან)—თან—ენ კან—ინისა; წვრილმანი: აკროსტიხი, ხალხური, გამოცანები, უჯრების ამოცანა, რებუსი, სათამაშო გამოცანა და სხვა.

*** რედაქციამ მიიღო აგრეთვე მეორე ნომერი აკაკის „კრებულისა“. შინაარსი ამ ნომრისა:

პირველი განყოფილება: სცენიდგან ნათქვამი „ნინოობას“—ლექსი აკაკისა; საავადმყოფოში, მისივე; სცენიდგან ნათქვამი, (ლექსი) მისივე; ხაფანგი, დრამა 4 მოქ. მევლესი; საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი—მ. გ. ჯანაშვილისა; ბიბლიოგრაფიული შენიშვნები—აკაკისა; ორი გერმანელი მეცნიერის აზრი ქართული ენის შესახებ—გ. თ-ისა.

მეორე განყოფილება: სოფელი წევა—ს. გახეჩილაძისა; მასალები ქრისტიანობის დაცემის და ისლამის გავრც. ისტორიისა დასავლეთ საქართველოში—ზ. ჭ.; ისტ. ლექსი, ლეგენდა და გამოცანები ს. არგვეთში ჩაწერილი ს. მერკვილაძის მიერ.

*** „ახ. მიმ.“-ს სწერენ ბორჯომიდგან: ბორჯომის საბოქაულოში სოფ. ახალდაბის მახლობლად მტკვარზედ არსებული ხიდი ჯერ ისევ 1895 წელს წყალდიდობის დროს დაინგრა და დღემდის იმის გაკეთებას არაფერი ეშველა. მცხოვრებლები მეტად გაჭირვებულნი არიან უხიდობით, ამიტომ მათ მიჰმართეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას და სთხოვეს, რომ ხსენებულ ადგილას გამართულ იქმნას ხიდი.

*** 13 მარტს, კრებაზედ ტფილისის ქალაქის გამგეობას ლაპარაკი ჰქონდა იმის შესახებ, რომ აწინდელი წესი ხორცის ნიხრისა შეცვლილ იქმნას. როგორც ვუწყით, დღეს ხორცის ყველა ნაჭერს ერთნაირი ნიხრი ადევს, ახლა-კი აზრადა აქვს სხვა-და-სხვა ნაჭერს სიავ-კარგის მიხედვით სხვა-და-სხვა ნიხრი დაადოს. გამგეობამ ამ უკანასკნელ კრებაზედ დაადგინა შემოიღოს ეს ახალი წესი ნიხრისა და ამასთან შეავსოს სავალდებულო დადგენილებანი ხორცის ვაჭრობის შესახებ შემდეგის მუხლებით: 1, ტფილისში ხორცის ვაჭრობის გასაწესრიგებლად საჭიროდ ცნობილ იქმნა, რომ ძროხის ხორცი სამ ხარისხად იქმნას განაწილებული. პირველ ხარისხს შეადგენს: დასანაყი ხორცი, ნეკნები, ბარკლები; მეორე ხარისხს—მხარ-ბეჭი, ჩალაღაჯი უკისროდ; მესამეს—მკერდი და კისერი. 2, ყველა იმ დუქანში, სადაც ხორცით ვაჭრობენ, ცალკე ადგილები უნდა ჰქონდეს ამ სამსავე ხარისხის ხორცს და ყველას თავზედ მსხვილის ასოებით ეწეროს, რა ხარისხისაა იგი და რა ნიხრი ადევს.

ეს დადგენილება ქალაქის საბჭოს მახლობელს კრებაზედ წარედგინება განსახილველად.

## რუსეთი

გაზ. „Бирж. Вѣдом.“-ი იუწყება, რომ აზრადა აქვთ ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში დააარსონ სატეხნოლოგო ინსტიტუტიო.

— ოდესის უნივერსიტეტში გამოკიდებულია, როგორც გაზეთები იუწყებიან, შემდეგი განცხადება: „უნივერსიტეტის მთავრობამ კრებაზედ 6 მარტს, განიხილა რა საქმე სტუდენტთა ყრილობის შესახებ, რომელიც თებერვლის გასულს და მარტის დასაწყისს მოხდა უნივერსიტეტის შენობაში, დაადგინა გამოუცხადოს საყვედური იმ სტუდენტებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ამ ყრილობებში“. ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტში, „სინ. ოტეჩეს.“-ს სიტყვით, შემდეგი განცხადება ყოფილა გამოკიდებული: „რადგანაც სტუდენტობის მეტი ნაწილი სწავლას დაუბრუნდა, მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მთავრობა შესაძლებელად სცნობს ეხლა შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ უკანვე, უნივერსიტეტში, მიღებულ იქმნას 101 სტუდენტი, დათხოვნილი იმ პირობით, რომ უკანვე შესვლის ნება ჰქონდეთ. რაც შეეხება 62 სტუდენტს, რომელნიც სრულიად დათხოვნილ იქმნენ, უნივერსიტეტის მთავრობა შუამდგომლობს, რომ ისინიც მიღებულ იქმნან უნივერსიტეტშიო“.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ კნ. მ. კ. ტენიშევამ თავის მამულში, სოფ. ტალაშკინ'ში, დააარსა დედათა სასოფლო სამეურნეო კურსები. ამ კურსებზედ მიიღებენ 18 წლისაზედ არა ნაკლებ ქალებს, რომელთაც პროგიმნაზიის კურსი მაინც აქვს გავლილი. სწავლა ამ კურსებზედ ზაფხულობით იქნება 25 აპრილიდგან და 10 სექტემბრამდე. ასწავლიან შემდეგ საგნებს: პირუტყვთა ანატომიას, ფიზიოლოგიას, მერძეობას, მეფუტკრეობას, ბაღოსნობას, მეაბრეშუმეობას და სხვ. მოსწავლეთ სწავლის ფასი და შესანახი უნდა გადაიხადონ თვეში 25 მანეთი.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, აზრადა აქვთ მომავალ წელს დიდმარხვაში მოახდინონ სცენის მოღვაწეთა კრება. კრება მოსკოვში მოხდება.

## უცხოეთი

**გერმანია.** 15 მარტს პრუსიის ლანდტაგში დაიწყეს საერო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ნაციონალ-ლიბერალმა გაკენბერგმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც სცდილობდა პრუსიის პირველ-დაწყებით სასწავლებლების ღირსებანი აღენიშნა და უარ-ეყო ის ნაკლულევანებანი ამ სასწავლებლებისა, რომელსაც კათოლიკეთა ჟურნალ-გაზეთობა აღნიშნავს. მან სთქვა, რომ საერო განათლების საქმემ დიდად წადგა ნაბიჯი წინ, რაც ნათლადა სჩანს, მაგალითებრ, იმათიც, რომ 1896 წ. ყოველ 1,000 მცხოვრებ შორის 26 წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ხოლო ეხლა-კი 16 ია წერა კითხვის უცოდინარი. ამის გამოსანაწყენი არ არის, რომ სწავლა-განათლების ხარჯმა 70 მილიონ მარკით იმატაო. კლერიკალი შმიდტი, პირიქით, ჰკიცხავდა აწინდელს წეს-რიგს საერო განათლებისას და სთქვა, რომ ბავშვებს მეტად ბევრს ასწავლიან და მავნებელს აზრებს უნერგავენ. მაგალითად, ასწავლიან, რომ ყოველის ღარიბ-ღატაკ კაცის ხმა საპარლამენტო არჩევანების დროს კანცლერის ხმას უდრისო. ამ უგნური აზრის წინააღმდეგ არა თუ მარტო რადიკალები აღტყინდნენ, არამედ მთავრობის კომისარიც-კი გამოეპასუხა შეგუგულ დასის წევრს და დაუმტკიცა, რა წარმატებით მიდის საერო განათლების საქმე.

—

**საბერძნეთი.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ საბერძნეთის პარლამენტის სხდომანი დაიწყო მეფე გიორგის სიტყვა-სიტყვის წარმოთქმით. ამ პირველს სხდომას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საბერძნეთისათვის, რადგან ერის წარმომადგენელთ ახალი მიმართულება უნდა მისცენ საბერძნეთის პოლიტიკას. პოლიტიკურმა მიმართულებამ დელიანისისა და ტრიკუპისისამ ეს ქვეყანა სრულიად გაადარიბა პოლიტიკურად და ქონებრივად. ვიცით ისიც, რა სამწუხარო შედეგი მოჰყვა საბერძნეთისა და ოსმალეთის ბრძოლას და თუ ამ ბრძოლამ საბერძნეთის გეოგრაფიული მდებარეობა არ შესცვალა მის და საზარალოდ, ამისი მიზეზი უმთავრესად დიდთა სახელმწიფოთა ამ საქმეში ჩარევა იყო. საბერძნეთი უკვე მიხვდა თავისს შეცდომას და უკანასკნელ არჩევანებზედ სრულიად აქცია ზურგი დელიანისის დასს. პარლამენტის პირველს სხდომაზედ წარმოთქმულს სიტყვა-სიტყვაში მოხსენებულია რამდენიმე ფრიად საყურადღებო კანონ-პროექტი (უცხო-ქვეყნელთა მოწვევა ჯარისა და ფლოტის განსაწვრთნელად და მოსაწყობად, მეორე სამინისტროს დაარსება—ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროისა, დასტამბულ სიტყვის შესახებ ახალის კანონების გამოცემა, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ახალის კანონების დადგენა, სამოქალაქო მოხელეთა მოქმედების სამეთვალ-ყურეოდ უზენაესის საბჭოს დაარსება და სხ.). ტრიკუპისის დასელები, რომელთაც ჰმეთაურობს თეოტოკისი, პირველსავე შემთხვევაზედ ეცდებიან მისს დასცენ ზაიმისის სამინისტრო, რომელიც არც ერთს დასს არ ემხრობა და პალატის დამოუკიდებელთა წევ-

## ფელეტონი

### ქუთაისის და ტფილისის თავად-აზნაურობის საყურადღებოდ. *)

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ბატონ-ყმობის მოსპობამ დიდ-მნიშვნელოვან და მრავალ სარგებლიანი დაწესებულება მისცა ჩვენ საზოგადოებას. მესამოცე წლებში ყმების გასანთავისუფლებელ ფულიდგან იყო გამოღებული თითო ოროლა გროში და ამ ფულით იქმნა დაარსებული როგორც ქუთაისსა, ისე ტფილისში სადგილ-მამულო ბანკები. მას აქეთ ბევრი რამ კარგი შესძენია ჩვენ თავად-აზნაურობას. გავიხსენოთ მოკლეთ ის უკვდავი დაწესებულებანი, რომელიც ინახებოდა და ინახება დღეს ბანკების მონაგებ ფულისაგან. ჩვენ ვგულისხმობთ ორ სათავად-აზნაურო სასწავლებელს, რომელიც არსებობს როგორც ქუთაისს, ისე ტფილისს და რომლის კედლებშიაც ბევრ ღარიბსა და თითქმის მდიდარსაც პირველ გულის ყური იქ გახსნია და შუქი განათლებისა პირველ იქ უხილავს. რამდენს მუდმივ ბრმად დასარჩენ ყმაწვილს გაუვლია ამ სასწავლებელთა კურსი და მით სიბნელის უფსკრულისაგან ცოტად მაინც თავი დაუღწევია. არა მცირედია რიცხვი იმ ქართველ-სტუდენტთა, რომელთაც სათავად-აზნაურო სასწავლებელი დაუმთავრებიათ ან და პირველ-დაწყებითი სწავლა იქ მიუღიათ. **) დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ყმაწვილთ არასოდეს არ ეღირსებოდა უნივერსიტეტის ხილვა, თითქმის არც ერთ მათგანს, თავიდგანვე რომ ჩვენთა მამა-პაპათა გადადებულ ფულის სარგებელი არ მოშველებოდა. ასე რომ, ისედაც განათლებულთა მცირე რიცხვი ჩვენში, დღეს უფრო მცირე იქნებოდა. ეხლა ხომ არავისთვის საიდუმლო არ არის ის გარემოება, რომ ყოველი ერის ბედნიერება და კეთილდღეობა მხოლოდ განათლებულ ადამიანთა რიცხვშია. რამდენად უფრო ბევრი განათლებული და თანამედროვე ცხოვრებისათვის მომზადებული წევრი ჰყავს ერს, იმდენად უფრო ის ერი წინა დგას და მისი მომავალი იმდენად უფრო უზრუნველ ყოფილია. ამ მხრივ სათავად-აზნაურო სასწავლებლებმა სწორედ რომ ღირსეული სამსახური გაუწიეს ჩვენს ქვეყანას.

მაგრამ არა მარტო ამ მხრივ იყო დიდ-მნიშვნელოვანი სარგებლობა ჩვენთა მამა-პაპათა დატოვებულ გროშისა. არ დაივიწყოთ, რომ ბანკები იყო უმთავრესი შემწე ნივთიერად ჩვენის ცხოვრებისა, ავად თუ კარგად ფეხზედ დაყენებული რომელიმე „საზოგადოება“ თავის უმთავრეს სარჩოს ჩვენ ბანკებში ჰპოულობდა და ჰპოულობს დღესაც: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ქართული თეატრი, გორისა და თელავის სამეურნეო საზოგადოებანი, წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელი და აგრეთვე ის სასწავლებელნი, რომელშიაც მოსწავლეთა რიცხვის უმეტესობას ქართველობა შეადგენს (გორისა და თელავის საქალებო პროგიმნაზიები). ისიც მოიხსენიეთ, რომ ასმა ათასმა მან. ტფილისის თავად-აზნაურობას შესძინა ერთი ქარვასლა არწრუნისეული თავის თეატრით, ორი შენობა შუაგულ ქალაქში, ათას ოთხასი „დესეტინა“ გორის მაზრის სოფ. სკრაში; ყველა მამულის წმინდა შემოსავალი სამი-ოთხის წლის შემდეგ უტყუარ წყაროს ასიათასს (100,000 მ.) მან. მაინც მისცემს წლიურად ჩვენ საზოგადოებას სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის. მაშინ-კი უეჭველი იქნება ყველასათვის, რომ ამ თითო-ოროლა გროშით შემდგარმა ცოტაოდენმა ფულმა მრავალი სარგებლობა მოუტანა და კიდევ მრავალს შემწეობასა და სამსახურს გაუწევს ეს ფული ჩვენ ქვეყანას. თუ მთლად არა, უმეტესად მაინც გაამართლებს და გაამართლა კიდეც დამტოვებელთა სურვილი და ანდერძი.

მართალია, მოგახსენებენ, ამ საქმეს ბევრ კარგ თვისებასთან ვითომც რამდენიმე ცუდი თვისებაც ჰქონოდეს, იმითი, რომ ზოგიერთ თავად-აზნაურთ დაგირავებული მამული სარგებლის შეუტანლობისა გამო დაჰკარგოდათ და აი ამ მხრივ კიდეც გაისმის საყვედური ჩვენის ბანკების მიმართ. მაგრამ ეგ საყვედური არა დაწესებულებას ეკუთვნის, არამედ თვით დამგირავებელ-მოსაყვედურეთ და უფრო-კი მათ უთაურობას, რადგან სხვა ბანკებშიაც რომ დაეგირავებინათ, იგივე დღე მოელოდა იმათს მამულს. პირ-იქით, დამტკიცებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის შეღავათი, რომელსაც ჩვენი ბანკები იძლეოდა მსესხებელთათვის, არავითარ სხვა ბანკს არ მიუცია და ვერც მისცემს. მოგეხსენებათ, რომ ბანკებში არსებობს ეგრედ წოდებული „ექსტრა ორდინალი“ კაპიტალი, რომლიდგანაც როგორც დამფუძნებელი, ისე კერძო მსესხებელი იღებს შემწეობას ფულით სარგებლის შესატანად. აგრეთვე თუ რომელიმე მსესხებელი წარმოადგენს შესაფერს საბუთს დაზარალებისა, ან რაიმე უბედურებისას, მაშინ ადროვებდენ ხოლმე ფულის შეტანას. ეს გარემოება, ჩვენის ფიქრით, ნათლად გვიჩვენებს, რომ კერძოდ რომელიმე კაცის მიერ მამულის დაკარგვის მიზეზი არა ბანკებია, არამედ გამოტანილ ფულის უხეიროდ მოხმარება და გამოყენება. მართალია, კარგი იქნებოდა, რომ ყოველ შემთხვევაში არცერთი მამული არ გაყიდულიყო და დროებით, ვალის გადახდამდის, ბანკს დარჩენოდა, მაგრამ ამგვარი უფლებებით სხვაგანაც არ არსებობს ბანკები, და რაც რომ სხვისთვის მოუხერხებელია, ის ხომ ჩვენთვის შეუძლებელია.

ამგვარი იყო, მოკლეთ რომ ვთქვათ, მნიშვნელობა ჩვენთა მამა-პაპათა დატოვებულ ფულისა და ეს იმ დროს, როდესაც არც ერთს ჩვენთაგანს იმით სარგებლობის ცოდნა არა ჰქონდა, ეხლა, როგორც დრო

*) ქუთაისსა და ტფილისიდგან მოველოდით სტატისტიკურ ცნობებს, მაგრამ არავითარი ცნობა არ მიგვიღია, ამიტომ ამ წერილის გამოგზავნა დაგვიგვიანდა.

**) ჩვენდა საუბედუროდ ამ ჟამად არა გვაქვს სტატისტიკური ცნობები ამ საგნის შესახებ. მხოლოდ ვიტყვით, რომ ოდესსაში ქართველ სტუდენტთა რიცხვი, სათ.-აზ. სასწავლებელში ნამყოფთა, ნახევარზედ გაცილებით უფრო მეტია.

რთა უმეტესობით ჰსარგებლობს. ეხლა დაბეჯითებით ჰლაპარაკობენ, რომ ტრიკუპისისა და დელიანისის მომხრენი, ეხლა შეერთებას აპირებენ, რათა ძირი გამოუთხარონ როგორმე აწინდელს სამინისტროს. თუ ეს ასე მოხდა და ამ ორ ახლად შეერთებულის დასის სურვილი განხორციელდა, საბერძნეთის შინაური საქმეები კვლავ აიწეწ-დაიწეწება და ამ სახელმწიფოს მერმისი კვლავ გამოურკვევლობის ბურუსით შეიმოსება.

# თეატრის მატიანე

1, „ცხოვრების გმირი“ დრამა 3 მოქმ. კარეევისა, თარგ. ა. მეძმარაშვილის მიერ.

2, „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“ ფარსი 2 მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა.

კვირას, 14 მარტს, ქართულმა დრამატიულმა დასმა, ბ-ნთ ვ. ს. მესხიშვილისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით, წარმოადგინა „ცხოვრების გმირი“ და „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“. პირველი პიესა რუსულიდგან არის გადმოთარგმნილი და ტფილისში ამ საღამოს პირველად წარმოადგინეს. ამ პიესის შინაარსი ახალს არაფერს წარმოადგენს და ბევრს სხვა პიესაშიაც შეჰხვდებით. თვითნება, ამაყ და ბრძანებას დაჩვეულ მებატონეს არეევს (ბ-ნი გამყრელიძე) არაფრად ეპაშნიკება თავისის შვილების — ვაჟის პეტრეს (ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი) და ქალის ზინაიდას (ქ-ნი გამყრელიძე) ურჩობა. პირველი თავისის გულახდილისა და პირდაპირის ლაპარაკით იქამდე მიიყვანს მამას, რომ სილას გაარტყმევინებს, მეორე-კი მამის სურვილის წინააღმდეგ არეევის მოურავს, უკანონოდ შობილს აპატოვს (ბ-ნი შათირიშვილი) გაჰყვება ცოლად. რასაკვირველია, ასეთის ურჩობის შემდეგ პეტრე და ზინაიდა შინ ველარ დარჩებოდნენ და ისინიც მამის სახლიდგან პეტერბურგში გარბიან, სადაც დიდს სიღარიბესა და გაჭირვებაში სცხოვრობენ რამდენსამე ოვეს. მაგრამ აქ მათ მოულოდნელად გამოუჩნდებათ შემწე და მფარველი — თავადი ორლოვსკი, რომლის უკანონო ძმაც აღმოჩნდება აპატოვი, ზინაიდას ქმარი. ორლოვსკი აპატოვს მოურავად ჰნიშნავს თავისის დიდ-ძალის მამულებისა და გახარებული ცოლ-ქმარი და პეტრე არეევი სოფელში მიდიან. ამ ხნის განმავლობაში მებატონეს არეევს დიდი უბედურება დაატყდება: უფროსის შვილის, გაიძვერა ნიკოლოოზისა და აღმზრდელის ქალის ლუჩია ბესტოვსკის წყალობით იგი გაკოტრდება და თითქმის ულუკმოპუროდ დარჩება. იმის მამულს თავ. ორლოვსკი შეიძენს, ამ რიგად, მოურავად დანიშნული აპატოვი ცოლისა და ცოლის ძმით თვისის სიმამრის სახლში დადგება. უკანასკნელი მოქმედება სწარმოებს ოთახში, სადაც წევს მძიმე ავადმყოფი-პეტრე არეევი. თავით უზის მტირალი ახალგაზდა ქალი, იმისი დანიშნული მარია ალექსანდროვნა (ქ-ნი კარგარეთელი). პეტრე აპატოვმა ველარ აიტანა პეტერბურგში გაჭირვებული ცხოვრება და ლოგინად ჩაწვა. ამას ზედ დაერთო მწუხარება მამის დაკარგვის გამო. დასასრულ კონკებსა და ძონძებში გახვეული მამა შემოდის, შვილების წინაშე ბოდიშს იხდის ცუდად მოქცევის გამო და ეხვეწება შემიფარეთ და შემინახეთ ამ სიბერის დროსაო. მაგრამ ამ დროს სულთმობრძავი პეტრე განუტევებს კიდეც სულს.

საზოგადოდ პიესა სუსტია და, როგორცა ვთქვით, შინაარსით ახალს არაფერს წარმოადგენს: მამის გულქვაობის წყალობით შვილების გატანჯვა და გაწვალება ბევრჯელა და უკეთესადაც ყოფილა აწერილი და დასურათებული რუსულს ლიტერატურაში. ამ პიესაში აწერილი ცხოვრება წარსულს უფრო შეეფერება, ვიდრე აწმყოს: რაღაც ბატონ-ყმობის ელფერი დაჰკრავს მთელს ამ პიესას. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ასეთს მოვლენას, როგორიც ამ პიესაშია აწერილი, კაცი ეხლაც შეჰხვდება, შეიძლება ხშირადაც შეჰხვდეს, მაგრამ მაინც იგი აწინდელს ოჯახს, იმის წევრების ურთ-ერთ შორის დამოკიდებულებას ვერ ახასიათებს. აწინდელი ბურჟუაზიული ოჯახი სულ სხვა საფუძველზეა დამყარებული, სხვა გვარი დამოკიდებულება ჰსუფევს იმის წევრებს შორის.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ პიესაში რამდენიმე კარგი ადგილიც არის, რომელსაც შეუძლიან გავლენა იქონიოს მაყურებელზედ. წარსულ საღამოს ბევრი აატირა კიდეც ამ პიესის ზოგიერთმა ადგილმა.

წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა, არტისტები, ეტყობა, მომზადებულიყვნენ და თავიანთი როლები გვარიანად შეასრულეს. ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა სამაგალითოდ დაგვიხასიათა ახალგაზდა, უდარდელი, მაგრამ ჭკვიანი და მიხვედრილი პეტრე არეევი. მესხიშვილს მხარს უჭერდა ბ-ნი გამყრელიძეც. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები აგრეთვე ქ-ნთ კარგარეთელმა, გამყრელიძემ, ბ-ნმა შათირიშვილმა და მოხუცებულის მოურავის როლი გედევანოვმა.

ამ საღამოს წარმოდგენილმა მეორე პიესამ, „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“-მ, ვ. აბაშიძისა და გედევანოვის ნიჭიერის თამაშობის წყალობით, მეტად მხიარულად ჩაიარა.

შემდეგი წარმოდგენა იქმნება ხუთშაბათს, 18 მარტს. ითამაშებენ შექსპირის ტრაგედიას „ჰამლეტს“.

ი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**„სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებით“**

(შედგ. არხიმ. კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ ტფ. 1898 წ.)

დასასრული *)

როცა მე-17 გვერდზედ სიტყვის შეწყვეტა ანუ შეკვეცა არის ახსნილი, საბუთად თავიანთ განმარტებისა, ნიმუშების მოყვანის ნაცვლად აი რას ამბობენ ჩვენი სიტყვიერების თეორიის შემდგენლები: „ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი და ფრთა შეკვეცილი საუბარი ხშირია დრამებში.“ ეს მართალია, მაგრამ ჯერ ხომ მოწაფეებს შესწავლული არა აქვთ „დრამა“ და შეიძლება არც წაეკითხოთ. ნუ თუ შეწყვეტილის საუბარის ნიმუშის პოვნა და იქვე მოყვანა ისე ძნელი იყო, რომ დრამებზედ მიუთითეს შემდგენელებმა. შეწყვეტილ საუბრის ნიმუშად ხომ გრძელი ნაწარმოების დაბეჭდვა არ იყო საჭირო, რომ ვერ მოუხერხებიათ მაგალითის პოვნა და მოყვანა!

ნაკვეთ ნაწერის ნიმუშის მოყვანის ნაცვლად, სიტყვიერების თეორიის შემდგენლები ჰბრძანებენ: „ნაკვეთის ნაწერის მაგალითს ხშირად შეხვდებით საბა სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუვეს“ წიგნში, ვახუშტის გეოგრაფიაში, ვისრამიანში“. ვახუშტის გეოგრაფიისა და ვისრამიანის საძებნელად გაგზავნას, ის არ ემჯობინებოდა, რომ ორიოდე მაგალითი მოეყვანათ, თუნდაც „სიბრძნე სიცრუვეს“ წიგნიდგან? ჩვენ იძულებულნი ვართ კიდევ მოვაგონოთ მკითხველს, რომ „სიტყვიერების თეორია“ მოსწავლე ყმაწვილებისთვის არის შედგენილი, რომლებისთვისაც ადვილი არ არის ვახუშტის გეოგრაფიისა და ვისრამიანის ძებნა, წაკითხვა და მაგალითების ანუ ნიმუშების პოვნა.

პირველი მოთხოვნილება ყოველ გვარ ახსნისა და განმარტებისა სახელმძღვანელო წიგნში ის არის, რომ შემდგენელმა და მასწავლებელმაც გაუგებარი სიტყვა ანუ აზრი გასაგების სიტყვებით განმარტოს და შეუსწავლელი ნასწავლისაგან გამონასკვოს. მაგრამ ჩვენი სიტყვიერების თეორიის შემდგენლები ამ მოთხოვნილებასაც არ იცავენ ყველგან მტკიცედ. აი ამისი მაგალითი. „სტილისტიკით კანონიერისა და შნოიანის წერისა და საუბრისთვის საჭიროა: 1, სისწორე ენისა ანუ მტკიცედ დაცვა ეტიმოლოგიისა და სინტაქსის წეს-კანონებისა“. ორივე ეს სიტყვები-კი ქვემოდ აქვთ აღნიშნილი. მაშასადამე, ზემოდ მოყვანილი მათი განმარტება გაუგებრად უნდა ჩაითვალოს. ეს შეცდომა უთუოდ იმიტომ მოსვლიათ, რომ უფიქრიათ, რაკი მოწაფეები სიტყვიერების თეორიის შესწავლას შეუდგებიან, უეჭველად ეტიმოლოგია და სინტაქსისიც ეცოდინებათო. მაგრამ შემცდარნი ბრძანდებიან: განა არ მოეხსენებათ, რომ სათავად-აზნაურო სკოლებს გარდა, არც ერთს სასწავლებელში ქართულს გრამატიკას არ ასწავლიან.

დამატების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ საკმაოდ შეუკრებიათ „სიტყვიერების თეორიის“ ავტორებს სანიმუშო მასალა ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურიდგან სიტყვიერების ყოველ გვარისა და სახის თეორიის დასახასიათებლად და რიგზედაც დაუწყიათ; მხოლოდ ძლიერ ღარიბია კრებული სადრამო ნიმუშებით. ასე გასინჯეთ, სადრამო პოეზიის ყველა დარგის ნიმუშად ერთად-ერთი პატარა დრამა, სახელდობ „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძისა ჩაურთავთ დამატებაში. საჭირო-კი იყო თითო ნიმუში მაინც იყოს დაბეჭდილი კლასიკური ტრაგედიისა, საკუთრად დრამისა და კომედიისა. მართალია, სიტყვიერების თეორიაში მოჰყავთ შემდგენელებს თავიანთის სიტყვით შინაარსი შექსპირის ერთის ტრაგედიისა (მაგბეტი) და სოფოკლის ოთხის ტრაგედიისა, მაგრამ სიტყვიერების სამაგალითო ნაწარმოების გასაცნობად თვით მისი წაკითხვაა საჭირო და არა მარტო შინაარსის გაგება. ვისაც არ წაუკითხავს და არ გაუცვნია, რა არის კლასიკური ტრაგედია, შექსპირის დრამა და გინდ კომედია, მას შინაარსის მოთხრობით

*) იხ. „ივერია“ № 53.

და ვითარება გამოიცვალა და ჩვენც მასთან ერთად წინ წავედით, უეჭველია დღევანდელი მთავრობის განკარგულება წარსულის წყლულის მალამოდ უნდა იქნას დადებული.

ყველამ ვუწყით, რომ ქუთაისისა და ტფილისის თავად-აზნაურობას უბრუნდება მესამოცე წლებში დატოვებული ფული. ეხლა საქმე ის არის, თუ როგორ უნდა მოეპყროს ჩვენი თავად-აზნაურობა ამ ფულს? აქ საკითხავია, წაიღებს თუ არა რომელიმე დამფუძნებელი წევრი თავისს ხვედრს? „აშკარაა, რომ თითოეულს მათგანს მისი საწილო არა გაუხთებარა. როგორც თოვლი, ისე გაუდნება ხელიდგან, არც ვერას თვითონ მოიცხონს და ვერც სხვას არგებს“. მასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ხვედრის ფულის გამოტანა არც ისე სახარბიელოა. ჯერ ერთი, თვითოეულის მიერ შეტანილი ფული საზოგადოდ დიდ თანხას არ წარმოადგენს, მეორეც ისა, რომ ეს წვრიმალი ხვედრი მით უფრო წვრიმალდება, რომ მაშინდელ ფულის შემტან-დამფუძნებელს ეხლა რამდენიმე მემკვიდრე ჰყავს. გარდა ამისა, ქუთაისის აზნაურობას კერძოდ ფულის გამოტანა მით უფრო უძნელდება, რომ თითოეულს თვისი ხვედრი მთავრობის განკარგულებით მიეცემა დაახლოვებით ოც და ხუთი წლის განმავლობაში. ყოველივე ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წვრილ-წვრილად ფულის გამოტანა არაფერს სარგებლობას მოუტანს თავად-აზნაურობას და ვერც კი იგრძნობს იმისს დაბრუნებას. პირიქით, დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს გაჭიანურებული და დაწვრილმანებული ფულის გამოტანა გაცილებით უფრო ბევრს დაახარჯვინებს ქალაქში ჩასვლა-ჩამოსვლით, სხვა-და-სხვა მემკვიდრეობის დასამტკიცებელ საბუთის შეძენით და კიდევ სხვა მრავალ მოულოდნელ ხარჯით, ვიდრე რაიმე შემწეობასა და სარგებლობას მოუტანს თითოეულს მათგანს. ჩვენ უფრო იმიტომ არა გვწამს, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ გამოიტანოს ეს ფული, რადგან მათ მხრივ ეგ ახალი შეწირულება ხომ არ იქნება: ეს მამა-პაპათაგან ერთხელ და სამუდამოდ გადადებული ფულია საზოგადო საქმისათვის და მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო, თუ არ მოულოდნელი განკარგულება მთავრობისა. არა გვგონია, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ იკადროს წაღება ერთხელ გადადებულ ფულისა რაღაც სიხარბისა გამო, რომელიც სრულიადაც არ სჩვევია ჩვენს რაინდულ წოდებას. მტკიცედ შეგნებული თავმოყვარეობა, მუდამ თავისს სიტყვაზედ დგომა, ერთხელ დანაპირების უარის არ ყოფა და ქველობა — აი ღირსეული და მიმზიდველი თვისება ჩვენის თავად-აზნაურობისა. იმედი გვაქვს, ეხლაც თავს იჩენს ეს თვისება იმათის ხასიათისა და არ აქნევინებს შვილებს და შვილიშვილებს მამა-პაპათა სურვილის საწინააღმდეგო საქმეს, შემლახველს მათის ღირსებისა და მათ წინაპართა ხსოვნისა. ჩვენ კიდევ არ ვეჭვობთ, რომ ეს ფული, ერთხელ შეწირული, მეორედ აღარ გამოიწირება და თავად-აზნაურობა იმდენ სიგმირეს სულისასა და სიბრძნეს გამოიჩენს, რომ დასძლევს ყოველს კერძო მოსაზრებას და დასტოვებს ხელმეორედ ხელ უხლებლად ამ თანხას სხვა-და-სხვა საზოგადო საქმისათვის, თვის და თვის შვილთა საკეთილდღეობოდ.

საერთოდ-კი თუ იქმნა გადადებული ეგ ფული, როგორც ტფილისისა, ისე ქუთაისისა, დიდს ძალას წარმოადგენს, რომელსაც შეეძლება რაოდენადმე მაინც ხელი შეუწყოს ჩვენს ძლიერ და ძლიერ დაქვეითებულს ცხოვრებას. ბევრი რამ გვჭირია, ბევრი რამ გვინდა, მაგრამ ჩვენი სიღარიბე მუდმივ ჩვენის სურვილ-საჭიროების ამლაგმელი ყოფილი და არის. დღეს ცხადია, რომ ნივთიერ უზრუნველ-ყოფლობას უმთავრესი ადგილი უჭირავს ერის ცხოვრებაში; ამიტომაც უმთავრესი ჩვენი ყურადღება იმად უნდა იყოს მიპყრობილი, თუ როგორ გაუმაგრდეს ჩვენ ხალხს ნივთიერად წელი, რომ შესძლოს სხვა დაწინაურებულ ერგბთან კვალ-და-კვალ სვლა და ზოგჯერ მეტოქობაც. ამისათვის საჭიროა ჩვენი მრეწველობა და წარმოება გაუმჯობესდეს იმდენად მაინც, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენს ბაზარზედ მეტოქობა გაუწიოს უცხოეთიდგან მოსულ ნაწარმოებს. რასაკვირველია, ყოველ ამას ფული და ცოდნა ესაჭიროება და ეს ფული სწორედ რომ ციურ მანანად იქმნება მოვლენილი ამ საქმისათვის. საჭიროა დაარსდეს საერთო ფულით ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილებში სხვა-და-სხვა აზრით საზოგადოებანი, რომელნიც წინ წასწევენ ჩვენის ქვეყნის მრეწველობავაჭრობას, უნდა გამრავლდეს სპეციალური, სატეხნიკო, სახელოსნო, სამეურნეო სასწავლებელნი, სადაც მომზადდებიან მცოდნე მუშაკნი. არა ვთვლით საჭიროდ აქ ამაზედ მეტად ბაასი განვაგრძოთ, რადგან ამის შესახებ ხშირად იყო ლაპარაკი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და ნათლად იყო ნაჩვენები ამ საქმის მნიშვნელობა, სხვათა შორის, დეკემბრის გაზეთ „ივერიის“ მეთაურ წერილებში. მეორეს მხრივ დიდი ყურადღება უნდა იქმნას მიქცეული საზოგადო სწავლა-განათლებისაკენ, როგორც შინ, ისე უცხოეთში და ამ საქმისათვის იყოს გადადებული ნაწილი ფულისა, რადგან ეხლა ყველასთვის საეჭვო არ არის სწავლა-განათლების მნიშვნელობა. ისიც, რაც ვთქვით აქ ან სწავლა-განათლების შესახებ, ან ჩვენის ერის ნივთიერად წინ წაწევის გამო, ისიც ძალიან ცოტაა; ამის შესახებ ბევრის რამის თქმა შეიძლებოდა, ბევრი აზრი გამოითქმებოდა, თუ რით და როგორ უნდა წავწიოთ წინ ჩვენში გონებრივი და ქონებრივი კეთილ-მდგომარეობა, მაგრამ ეს აქ მეტია, ოღონდ-კი ფული იყოს გადადებული და მაშინ, რასაკვირველია, უფრო ვრცლად და დასაბუთებით წარმოითქმება აზრი და უფრო დაწვრილებით განიხილება საგანი.

ეხლა, რაკი ცოტად მაინც გავითვალისწინეთ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ამ თანხას, აგრეთვე ისიც ვიცით, თუ რა შველა და შემწეობა აღმოუჩინა წინადაც, უეჭველია ჩვენი თავად-აზნაურობა შეუდრეკლად და უყოყმანოდ ერთხმად უარს იტყვის ერთხელ გადადებულ ფულისაგან და შემდეგ კი უფრო დინჯად და დარბაისლად შეუდგება იმის განხილვას, თუ რას და როგორ უნდა მოხმარდეს ეს ფული.

ოდესელი ქართველები

სრულიად ვერასოდეს ვერ გაუჩენთ გონებაში ცხად წარმოდგენას მათ შესახებ.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ „სიტყვიერების თეორია“, თავისის დამატებით, თავიდამ ბოლომდის უფრო საკითხავ წიგნს ჩამოჰგავს, ვიდრე ნამდვილს სახელმძღვანელოს.

წყალტუბელი

## დამაკვირდი

მუშკი და კაცის ქველობა,—
ორნივე ერთად დარია.

სულხან საბა

* * *

ნურას ირწმუნებთ მჩხაზავისა, რომელსა რაშიც ჰალდუმიცა ამგოსნებს და უკავთა-უკაჩალიათ შვენებაცა არიტორებს.

ლასურიძე

* * *

სადაცა ამშარტავნება იქმნას, მუნ უეჭველად დაირღვეს ყოველი კეთილად ნაშენები.

ხელ-ნაწერი 1586 წლისა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ბოლოს დროს კორსეტის ხმარება არამც თუ კლებულობს, არამედ მატულობს კიდეც. ქალების მაგალითს კარგა ხანია მამა-კაცებმაც მიჰბაძეს. დღემდის ეს იშვიათი მოვლენა იყო, დღეს-კი ევროპაში, და შეიძლება ჩვენშიაც, კორსეტს მამაკაცები ძალიან ეტანებიან თურმე. ლონდონში რამდენიმე ქარხანა არსებობს, რომელნიც მარტო მამა-კაცებისათვის ამზადებენ კორსეტებს. ამ ქარხნებს იმდენ კორსეტებს უკვეთამენ თურმე, რომ მუშაობას ვერ აზდიან. კორსეტებს უმთავრესად შავის ატლასისაგან აკეთებენ და, როგორც ქალების კორსეტს, სხვა და სხვა არშიებითა და ლენტებით ამშვენებენ.

* * *

თუ რამდენად მოხერხებული ხალხია ამერიკელები, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. მოგეხსენებათ, რა დიდი მანძილია ევროპიდგან ამერიკამდე, მაგრამ მაინც საფრანგეთის ახალის პრეზიდენტის ლუბეს არჩევის ამბავი ამერიკის ქალაქის ნიუ-იორკის მცხოვრებელთ უფრო ადრე შეიტყეს თურმე, ვიდრე თვით პარიჟის მცხოვრებთ. მაშინ როდესაც პარიჟის სტამბებში მხოლოდ ჰბეჭდავდნენ კონგრესის გარდაწყვეტილებას პრეზიდენტის არჩევის შესახებ, ნიუ-იორკის ქუჩებში გაზეთის დამტარებლები უკვე ჰყიდდნენ დეპეშებს ამავე არჩევის შესახებ. დეპეშა ვერსალიდგან ამერიკაში გაუგზავნიათ ახლად გამართულ სატელეგრაფო კაბელით: ბრესტ-ნიუ-იორკი. რასაკვირველია, ამერიკელებს იაფად არ დაუჯდებოდათ ამ დეპეშის გაგზავნა.

* * *

როგორც იმავე ამერიკელებს აღმოუჩენიათ, კატას გარდა ბუც დიდი მტერი ყოფილა თურმე თაგვებისა. ეხლა ქალაქ ჩიკაგოში მეწვრილმანეები, ყასბები და სხვ. თაგვების ამოსაწყვეტად ბუს ინახავენ. დღისით ბუს გალიაში ამწყვდევენ, ღამით ანთავისუფლებენ და ოთახში უშვებენ. როგორც ერთი გაზეთი იუწყება, იმ ოთახში, სადაც ბუ იქმნება, თაგვი ვეღარ გაიწაწანებს თურმე.

* * *

აარჩიეს საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი და პარიჟელი „ფრანტებიც“ საგონებელს მიეცნენ. საქმე ის არის, რომ ამ „ფრანტებმა“ არ იციან ახალი პრეზიდენტი ლუბე რა ახალ ჩასაცმელს, დასახურს ან მოსართავს შემოიღებს. თითქმის საფრანგეთის ყველა წინანდელმა პრეზიდენტმა ასეთი ახალი რამ მოიგონა: კარნოს წყალობით გავრცელდა ერთგვარის ცილინდრის ხმარება, რომელსაც სახელად „კარნოს ცილინდრი“ დაერქვა. კაზიმირ პერიემ სხვა ნაირი გახამებული პერანგი შემოიღო, ხოლო ფელიქს ფორმა—გალსტუხები; იმედი აქვთ, რომ ახალი პრეზიდენტიც მოიგონებს რასმეს.

* * *

მოგეხსენებათ, განათლებულ ქვეყნებში დიდი ბრძოლაა დედა-კაცებსა და მამა-კაცებს შორის. დედაკაცები გათანასწორებას და ისეთსავე უფლებებს თხოულობენ, როგორიც მამაკაცებსა აქვთ მინიჭებული. ბევრგან, როგორც, საგალითად, ამერიკაში დედაკაცებმა თავიანთის მეცადინეობით და შრომით გაიყვანეს კიდეც თავისი და ზოგ საქმეში, რომლის კარებიც წინად დედაკაცებისათვის დახშული იყო, მხარში ამოუდგნენ მამაკაცებს, მაგრამ ზოგგან თვით გარემოება უწყობს დედაკაცებს ხელს. შვეიცარიის ზოგიერთ ადგილებში, მაგალითად, თემები და სოფლები დიდს გაჭირვებაში არიან, რადგანაც გაზაფხულობითა და ზაფხულობით ყველა მამაკაცები და მაშასადამე თემისა და სოფლის მმართველ-გამგებელნიც ევროპის რომელსამე ადგილებში მიდიან სამუშაოდ; შინ მხოლოდ დედაკაცები და მოხუცებული მამაკაცებიღა რჩებიან. ამიტომ შვეიცარიის ერთ კანტონის, სახელდობრ ტიჩინოს, მთავრობას დაუდგენია ნება მისცენ თემისა და სოფლების საქმეები, როდესაც თანამდებობის კაცნი სხვაგან არიან წასული, იმათმა ცოლებმა, დებმა ან ქალიშვილებმა განაგონ ხოლმე. შვეიცარიის ლიბერალური ჟურნალ-გაზეთები სიხარულით მიეგებნენ ამ ამბავს, კონსერვატორული-კი—ძრიელ ჰკიცხავენ თურმე მთავრობის ასეთს განკარგულებას.

## დეპეშა

13 მარტი.

**პეტერბურგი.** 13 მარტს ხელმწიფე იმპერატორი, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, დიდი კნიაჟნა ელენე ვლადიმირის ასული და დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, ბორის ვლადიმირის ძე და ანდრია ვლადიმირის ძე სამხატვრო აკადემიის დარბაზში ბრძანდებოდნენ სურათთა გამოფენის დასათვალიერებლად.

**ნიუ-იორკი.** „World“-ი იუწყება, რომ მანილიაში ამერიკელებმა ხელახლა დაამარცხეს ფილიპინელებიო. ამერიკელების მხრივ მოკლული და დაჭრილი 100 კაცია, ფილიპინელების—300-დგან 400 მდე კაციო.

14 მარტი

**ალჟირი.** „Echo d'Oran“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ 10 მარტს ჯედები და ბენები მაროკოს საზღვარზედ თავს დაესხენ მეგაილებს. ორსავ მხრივ მოკლულია 400 კაცი. ჯედებმა და ბენებმა გაიმარჯვეს და წაიყვანეს ტყვედ 800 კაციო.

15 მარტი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული კოპენჰაგენში მივიდა 13 მარტს საღამოს.

მთავრობის უწყება: „ვინაიდგან ქვეყნის ყოველ მხრიდგან მრავალი დეპეშა და წერილი მოდის, რომლითაც გულ-წრფელს მადლობას უცხადებენ მისს უდიდებულესობას რუსეთის მიერ საზოგადო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში დიდ-სულოვან თაოსნობის კისრვისათვის, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად უბრძანა გარეშე საქმეთა მინისტრს რუსეთის ყველა საზღვარ-გარეთ მყოფს წარმომადგენელს დაუგზავნოს აქის ქვემორე დაბეჭდილი საყოველთაო დეპეშა 16 მარტისა 1899 წლისა:

„მის შემდეგ, რაც წარსულ წლის 12 აგვისტოს საყოველთაო უწყება იქმნა გამოქვეყნებული, ხელმწიფე იმპერატორს ქვეყნის სხვა და-სხვა მხრიდგან აღურიცხველი მადლობა განუცხადეს იმ დიდ-სულოვან თაოსნობისათვის, რომელიც იკისრა მისმა უდიდებულესობამ, რათა შეემსუბუქებინა მძიმე მდგომარეობა შექმნილი აწინდელის შეიარაღებით, და საყოველთაო მშვიდობიანობა გაემტკიცებინა.

„მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისათვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ეს თანაგრძნობის გამოთქმა, რაც აშკარადა ჰმოწმობდა, თუ ქვეყნის ყოველს მხარეში რაოდენად მხურვალე მომხრე ჰყავს აზრს მშვიდობიანობის დამყარებისას, რომელსაც საფუძვლად ერთა ქონებრივი და სულიერი კეთილდღეობა უძევს.

„ამის გამო ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად მიბრძანა, თქვენის შემწეობით მისი გულწრფელი მადლობა გარდავცე ყველა იმ კაცთა და დაწესებულებათ, რომელთაც იმ ქვეყნიდგან, სადაც თქვენ იმყოფებით განმწესებული, მოჰმართეს მისს უდიდებულესობას და ადრესითა, წერილითა, დეპეშით ანუ სხვაფრივ თავისი თანაგრძნობანი განუცხადეს მის მიერ დაწყებულ უზენაეს კაცთ-მოყვარე საქმისათვის.

„ხელმწიფე იმპერატორი სიამოვნებითა სთვლის ამ ერთობლივად გამოთქმულს თანაგრძნობას, რომელიც განეცხადა ყველა მთავრობის მიერ თანხმობასთან ერთად, რომ გაagაში კონფერენცია გაიმართოსო,—მისის მეცადინეობის კეთილად დაბოლოვების ახალ წინდად, მეცადინეობისა რომელიც იმად არის დაწყებული, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის კეთილ-მოქმედმა დედა-აზრმა ფესვი განიდგას ყოველ სახელმწიფოს საზოგადოების ცნობიერებასა და ცხოვრებაში“.

**პარიჟი.** გრაფი შოდორდი, ელჩად ნამყოფი, წვეთის დაცემისა გამო გარდაიცვალა.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთი თანხმობით მიეგება რუსეთის მიერ აღძრულს აზრს, რომ ოსმალეთის სომხეთიდგან ლტოლვილნი სამშობლოშივე იქმნენ დაბრუნებულნიო, მხოლოდ მოითხოვა, რომ მაცოდინეთ რამდენნი არიან ლტოლვილნი, და ზოგიერთი ერთი კიდევ სხვა ცნობაო.

**ნიუ-იორკი.** მანილიიდგან სხვა-და-სხვათაგან მოსული დეპეშები იუწყება, რომ სასტიკი ბრძოლა-შეტაკებანი ყოფილა ამერიკელებსა და მეამბოხეთა შორის პოლოსა, მალინტოსა და მალაბანთან. მალინდო ამერიკელებს დაუჭერიათ, ხოლო მალაბანს ცეცხლი აქვს ზ კიდებული.

**პეტერბურგი.** სლავიანთა საზოგადოების თავმჯდომარედ კომაროვია ამორჩეული, თავმჯდომარეა ამხანაგებად—გენერალი კირეევი და გენერალ-კონტროლიორი ვასილიევი.


## განცხადებანი

Покупайте только




ЦВѢТОЧНЫЙ О-ДЕ-КОЛОНЪ, ИЗОБРѢТЕННЫЙ Товариществомъ Брокаръ и Ко.

Этотъ о-де-колонъ употребляется какъ духи, туалетная вода и куренія.

Остерегаться поддѣлокъ.

(11— —9)


## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 მარტისათვის 1899 წლისა.

**აქტივი.**

| | | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| I. | კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 11308 | 49 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 14730 | 63 |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | | 4110 | — |
| IV. | სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | | 3099 | 25 |
| V. | სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | | 2317 | 25 |
| VI. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | | 211179 | 33 |
| | პროტესტში წასული თამასუქები | | 250 | — |
| VII. | გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| | ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. | 7300—74 | | |
| | ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 9689—20 | | |
| | გ) საქონელზედ | 19235—— | | |
| | დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 9161—40 | 45386 | 34 |
| VIII. | დასაბრუნებელი ხარჯი | | 177 | 12 |
| IX. | მოწყობა-მომართვა | | 861 | 34 |
| X. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 251 | 62 |
| XI. | სხვა-და-სხვა დებიტორები | | 374 | 89 |
| XII. | საზოგადოების საკუთარი სარგებლ. ქაღალდები. | | 23 | 03 |
| XIII. | გარდასაცემი თანხა | | 1117 | 40 |
| XIV. | მიმდინარე ხარჯი | | 1826 | 39 |
| | სულ | | 297013 | 08 |

**პასსივი.**

| | | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 700 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | | 74183 | — |
| II. | სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | | 2457 | 58 |
| III. | შემოტანილი ფული: | | | |
| | ა) მიმდინარე ანგარიშით | 68319—18 | | |
| | ბ) ვადით | | | |
| | გ) უვადოდ. | 100980—— | 169299 | 18 |
| IV. | გარდასაცემი თანხა | | 1474 | 34 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი | | 1121 | 16 |
| VI. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | — | 88 |
| VII. | განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიშები. | | 18000 | 35 |
| VIII. | საკომერციო ბანკში განაღდებული თამასუქები | | 19975 | — |
| IX. | წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად | | 500 | — |
| X. | მიღებული სარგებელი. | | 3165 | 81 |
| XI. | წმინდა მოგება 1898 წ. | | 6835 | 78 |
| | სულ | | 297013 | 08 |
| | პასუხის-მგებლობა 700 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | | 667647 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | | 2400 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ | | 750 | — |

(1—5.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსის თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანცხვო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ს.